

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2020 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ ს/კ 204565577

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



GEORGIAN INTERNATIONAL HOLDING" LLC Georgia, Kutaisi City,
Avtomshenebeli St. №88.
Free Industrial Zone
ID: 204565577

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

- 1.ზოგადი ინფორმაცია
- 2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
- 3.ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
- 4.სავაჭრო მოთხოვნები
- 5.სხვა მიმდინარე აქტივები
- 6.ძირითადი საშუალებები
- 7.დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
- 8.გადასახადები
- 9.სხვა ვალდებულებები
- 10.კაპიტალი
- 11.ამონაგების აღიარება
- 12.ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
- 13.საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
14. ანარიცხები,პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები



შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	83782	50137	9293
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	77268	124948	116967
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	0	0
მარაგები		0	0	0
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		0	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	3000	3200	1700
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	6	3314282	4138576	3485974
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		3478332	4316861	3613934
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები		0	0	0
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები	9	279122	967943	1700
სულ ვალდებულებები	10	279122	967943	1700
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	27899	27899	27899
საემისიო შემოსავალი		0	0	0



შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3171311	3321019	3584335
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3199210	3348918	3612234
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3478332	4316861	3613934
სულ მოკლევადიანი აქტივები	3000	3200	1700
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



GEORGIAN INTERNATIONAL HOLDING" LLC Georgia, Kutaisi City,
Avtomshenebeli St. №88.
Free Industrial Zone
ID: 204565577

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები		386341	624744
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	11	386341	624744
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება		-193170	-312372
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		193171	312372
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	7	-180872	-341505
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-161439	-204823
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		0	0
იჯარის ხარჯი		0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	-568	-29360
სულ საოპერაციო ხარჯები		-342879	-575688
საოპერაციო მოგება		-149708	-263316
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო			
სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-149708	-263316
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-149708	-263316
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების			
რეზერვი		0	0



შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-149708	-263316
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3348918	3612234
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3199210	3348918

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



GEORGIAN INTERNATIONAL HOLDING" LLC Georgia, Kutaisi City,
Avtomshenebeli St. №88.
Free Industrial Zone
ID: 204565577

1.ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის დასახელება: შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 204565577

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ს პარტნიორები და წილი:

დავით ჯაფარიძე -10%

ილია გორდელაძე - 30%

ხალილ იბრაჰიმ ხალილი - 47.5%

მონირ იბრაჰიმ ხალილ აბდელ სოუსი - 12.5%

დირექტორი: ილია ცანავა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წლის 02 მარტს საქართველოში, ქ.თბილისში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ვ.ბერიძის ქ.3-3.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო,ქ.ქუთაისი,ავტომშენებლის ქ.88

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”-ფარგლებში). კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასსის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო:

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოს ვალუტას, რომელსაც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL).

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3.ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოურ ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

	2020	2019	2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	83782	50137	9293
სულ	83782	50137	9293

4.სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2020	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	77268	124948	116967
უიმედო ვალების რეზერვი	(11500)	(13500)	(8700)
სულ	88768	138448	125667

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



5. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს სხვა წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

—	2020	2019	2018
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	3000	3200	1700
სულ	3000	3200	1700

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- ნაგებობები 5-50 წელი
- მიწა - 100 წელი



შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	შენიშნა- ნაგებობა	მიწა	სულ
31 დეკემბერი 2018	3239040	246934	3485974
31 დეკემბერი 2019			
შემოსვლა	610491		610491
პერიოდის ცვეთა	204823		204823
	3891642	246934	4138576
31 დეკემბერი 2020			
გასვლა	909789		909789
პერიოდის ცვეთა	161439		161439
	3067348	246934	3314282
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	3239040	246934	3485974
31 დეკემბერი 2019	3891642	246934	4138576
31 დეკემბერი 2020	3067348	246934	3314282

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



GEORGIAN INTERNATIONAL HOLDING" LLC Georgia, Kutaisi City,
Avtomshenebeli St. №88.
Free Industrial Zone
ID: 204565577

7. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას აქვს საპენსიო ან და თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

8. გადასახადები

მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). დღე

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღე სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღე-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღე-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღე-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღე, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღე-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღე-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.



9. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს მიღებულ ავანსებს, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის მეტოდით.

10. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 27899 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. კომპანიას 2018-2020 წლებში არ მოუხდენია დივიდენდის გაცემა დამფუძნებლებზე.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო გაუნაწილებელი		სულ
	კაპიტალი	მოგება	კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2020წ.	27899	3 321 019	3 348 918
გაცემა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	149708	149708
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	27899	3 171 311	3 199 210



11. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	<u>2019</u>	<u>2020</u>
-		
საწვავის ხარჯი	3700	568
საკანცელარიო ხარჯი	2265	
სამეურნეო ხარჯი	23395	
ჯამი::	29360	568
სულ:	29928	

13. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

14. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ



შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“ ს/ნ 204565577
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიცემული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორი: /ილია ცანავა/



GEORGIAN INTERNATIONAL HOLDING" LLC Georgia, Kutaisi City,
Avtomshenebeli St. №88.
Free Industrial Zone
ID: 204565577